

შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნება Medieval Art of the Christian East

კურსის მიზანია წარმოაჩინოს ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები და ურთიერთკავშირის ასპექტები, ბიზანტიის წამყვანი როლი და მნიშვნელობა. სასემინარო მუშაობის დროს სტუდენტს განუვითაროს მასალის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

ძველი საქართველოს არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება Art and Architecture of Old Georgia

კურსის ფარგლებში სტუდენტს მიეწოდება სისტემატიზებული ინფორმაცია ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების საკითხებზე. გაეცნობა საქართველოში ხუროთმოძღვრების ჩასახვა-განვითარების ხელშემწობ ფაქტორებს, ძეგლების არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებებს, სახვითი ხელოვნების ნიმუშების მხატვრულ-სტილისტურ მახასიათებლებს. სასემინარო მუშაობის დროს სტუდენტს უვითარდება მასალის სტილისტური ანალიზისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება The architecture of medieval Georgia

კურსის მიზანია სტუდენტებისათვის საქართველოს შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპების, არქიტექტურულ ძეგლთა ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების წარმოჩენა. სასემინარო მუშაობის დროს სტუდენტს უვითარდება მასალის სტილისტური ანალიზისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

XIX-XX საუკუნეების საქართველოს არქიტექტურა The Georgian architecture in 19th and 20th cc.

ბაკალავრიატის სავალდებულო კურსის მიზანია ისტორიულ-კულტურული ცვლილებების ფონზე წარმოაჩინოს XIX-XX საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესების ხასიათი, ახალი ფუნქციური დატვირთვის შენობების და სტილისტური მახასიათებლების წარმოშობის მოტივაცია, თბილისის ურბანული ტრანსფორმაციის მიზეზები; ეპოქის შესაბამისი მოთხოვნების, ტექნიური პროგრესის გავლენა ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. სასემინარო მუშაობის დროს სტუდენტს უვითარდება მასალის სტილისტური ანალიზისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

ძველი სამყაროს ხელოვნება და საქართველო The Art of ancient world and Georgia

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს მხატვრული ტრადიციების მნიშვნელობას საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების ფორმირებისა და განვითარების პროცესში. სასემინარო მუშაობის დროს სტუდენტებს უვითარდება კულტურული ურთიერთკავშირების მნიშვნელობის გააზრების, ხელოვნების ნიმუშების სტილისტური თავისებურებების აღქმისა და ანალიტიკური მსჯელობის უნარი.

ძველი ქართული საერო ხუროთმოძღვრება The Secular architecture of Medieval Georgia

კურსის ფარგლებში ისწავლება საქართველოში საერო ხუროთმოძღვრების ძირითადი არქიტექტურულ-კონსტრუქციული, ტიპოლოგიური და სტილისტური მახასიათებლები, ცალკეული რეგიონების ნიმუშების თავისებურებების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. სასემინარო მუშაობის დროს სტუდენტებს უვითარდებათ საქართველოს ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესების გააზრების, ნაგებობის არქიტექტურულ სტილისტური თავისებურებების აღქმისა და ანალიტიკური მსჯელობის უნარი.

ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება The Art of Ancient East

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების – აფრიკის, შუამდინარეთის, წინა აზიის, ანატოლიის ზეგანის – უძველესი ხელოვნების ისტორიას, მის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებსა და განვითარების ეტაპებს. განხილულია არქიტექტურის, ქანდაკების, მხატვრობის, დეკორატიული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ანტიკური სამყაროს ხელოვნება Art of Ancient Greece and Rome

კურსის მიზანია ანტიკური სამყაროს (ძვ.წ. IX – ახ.წ. V სს. საბერძნეთის, ელინისტური სამყაროს, ძველი რომის) ხელოვნების შესწავლა, რომელიც ევროპული კულტურის საწყისს ატავს წარმოადგენს და, ამდენად, მისი შესწავლა აუცილებელია ნებისმიერი ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტისათვის. კურსის მიზანია, მისცეს სტუდენტს შესაბამისი ცოდნა ანტიკური ეპოქის ხელოვნების ფილოსოფიური და მსოფლმხედველობითი წანამძღვრების, მისი ძირითადი დარგების (არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა, გამოყენებითი ხელოვნება) სპეციფიკის, სტილისტური თავისებურებების, უმნიშვნელოვანესი ტენდენციების, გამოჩენილი წარმომადგენლების შემოქმედების და შესახებ და სხვ..სტუდენტს აგრეთვე მიეცემა ცოდნა არქეოლოგიური, არქიტექტურული, მონუმენტური ფერწერის ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებულ სპეციფიკის შესახებ, (მაგ., ნახაზების, სქემების, ჩანახატების გარჩევა, გეგმის, ჭრილის წაკითხვა, და სხვ.), შესაბამისი ტერმინოლოგიის ფლობა).

ქართული ხელოვნების ისტორია History of Georgian Art

ქართული ხელოვნების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული ფაკულტეტის ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტისათვის. მისი პროფესიული სპეციფიკა მოითხოვს მშობლიური კულტურის ისტორიის, მისი დამახასიათებელი თავისებურებების, უმნიშვნელოვანესი ძეგლებისა და სხვადასხვა დარგის ნიმუშთა საფუძვლიან ცოდნას, სპეციფიკური უნარების ფლობას (ხუროთმოძღვრული ძეგლის გეგმის აღქმა და წაკითხვა, ძეგლების ტიპოლოგიის ცოდნა, ქრისტიანული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფიის ძირითადი სახეების გარჩევა და სხვ.), ქართული ხელოვნების მსოფლიო კულტურის კონტექსტში განხილვის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას, რაც შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს და შეადგენს წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზანს.

შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნება The Art of Christian West

სასწავლო კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს საფუძვლიანი ცოდნა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში. სტუდენტი შეისწავლის IV–VI სს. რომისა და რავენის, მეროვინგული, კაროლინგიული, რომანული და გუთური ხანის ხელოვნებას, გაეცნობა, აგრეთვე, იტალიის XII–XIV სს. ხელოვნების თავისებურებებს. სტუდენტი გაეცნობა ხსენებული ხანის ხელოვნების სტილისტურ თავისებურებებს, ქრისტიანული იკონოგრაფიის სახეებს, ეკლესიების ტიპების ფორმირების და განვითარების პროცესს ქრისტიანულ დასავლეთში და სხვ. მოცემული სალექციო კურსი ძირითადად მიოცავს დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიას V საუკუნიდან (რომის იმპერიის დაცემა) XIV საუკუნემდე (ევროპაში ფეოდალური ურთიერთობები რღვევა, პროტორენასანსის ეპოქა), ანუ შუა საუკუნეების ეპოქას. გარდა ამისა, როგორც სუა საუკუნეების ხელოვნების საწყისი, მასში განხილულია რომის იმპერიის კრიზისის ეპოქის და ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნეების (II–IV სს.) ხელოვნების ძეგლებიც.

ევროპული ხელოვნება (XVII–XVIII სს.) European Art (17-18 cc.)

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს საფუძვლიანი ცოდნა XVII–XVIII სს. ევროპის ხელოვნების სფეროში. კურსის საგანს შეადგენს XVII სს. ხელოვნების სტილისტური მრავალფეროვნების გაცნობა სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში (ბაროკო, კლასიციზმი, სტილის გარეშე მომდინარეობა). XVIII ს-ს ხელოვნების თავისებურების შესწავლა განმანათლებლობების ხანის კულტურა), ნეოლკასიციზმისა და ამპირის ხელოვნების განხილვა და სხვ.

ძველი ქართული ოქრომჭედლობა Old Georgian Goldsmithry

ლექციათა წინამდებარე კურსის მიზანია სტუდენტთათვის ბაზისური ცოდნის მიცემა შუა საუკუნეების ქართულ ჭედურ ხელოვნებაში. ზოგადი ცოდნის გაღრმავება შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშთა დამოუკიდებელი ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან სახვითი ხელოვნების ხსენებული დარგის სპეციფიკას, ტექნოლოგიას, გამოჩენილ წარმომადგენელთა შემოქმედებას, ლითონმქანდაკელობის მხატვრული ენის, ევოლუციის თავისებურებებს, პლასტიკური გამომსახველობითი საშუალებების განვითარებას შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში და სხვ.

იკონოგრაფიის საფუძვლები The foundations of the iconography

შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლების იკონოგრაფიული ანალიზი ძეგლის შესწავლის შემადგენელი და აუცილებელი ნაწილია. იგი მხატვრულ-სტილისტურ, შედარებით ანალიზთან ერთად წარმოდგენას იძლევა ხელოვნების ნიმუშის შესახებ. დროში ცვალებადი იკონოგრაფიული ტიპები, რედაქციები და სქემები ასახავს იმ ძირითად ცვლილებებს, რასაც განიცდის ტიპი ეტაპობრივი განვითარების მანძილზე. ამა თუ იმ ნიმუშის იკონოგრაფიაში ცხადად იკვეთება ძალიან ძველი სახეების, სქემებისა და რედაქციების გამოყენება ან სიახლეები, რომლებიც ხელოვნების განვითარების განსაზღვრულ ეტაპს უკავშირდება. კურსი მოიცავს ძირითადი იკონოგრაფიული ტიპების, რედაქციებისა და სქემების განვითარებას, მისი თავისებურების ჩვენებას, მის კავშირს ხელოვნების განვითარების გარკვეულ ეტაპთან.

ქართული მინიატურა: ხელნაწერის წიგნის გაფორმების ტრადიცია ასწლეულების მანძილზე Georgian Miniature

კურსი მოიცავს ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებსა და გზებს VII-XVIII სს, მის მიმართებას, ერთი მხრივ, შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროსთან (წინა აღმოსავლეთი, ბიზანტია) და, მეორე მხრივ, ისლამურ სამყაროსთან (კერძოდ, ირანთან). ქართული ხელნაწერი წიგნი შეისწავლება გაფორმების ყველა ელემენტით, როგორც ერთიანი მხატვრული ორგანიზმი. კურსის მიზანია მიეცეს სტუდენტებს ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების პრინციპების შესახებ სისტემატიზებული ცოდნა. სტუდენტები გაეცნობიან შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის მნიშვნელოვან ნიმუშებს, დაცულს როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის საცავებში, აგრეთვე ბიზანტიური და სომხური ხელნაწერი წიგნის ნიმუშებს, შეისწავლიან თითოეული მათგანისათვის ნიშანდობლივ მხატვრულს თავისებურებებს. სტუდენტებს უნდა გამოუმუშავდეთ ხელნაწერი წიგნის გაფორმების ელემენტების აღქმისა და ანალიზის უნარი.

შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში The basis of art history

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებისათვის ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც დარგის, შესახებ საბაზისო ცოდნის მიცემა; უძველესი დროიდან დღემდე, სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეულ ძეგლებზე, კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით განხილული იქნება არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების (ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის და სხვა.) ყოველი დარგისა და მისი ნაირსახეობის სპეციფიკა და ჟანრულ-ტექნიკური პრობლემები; დახასიათებული იქნება სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის განსხვავებული მიმდინარეობები, სტილები და იმ ხელოვანთა შემოქმედება, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში.

მსოფლიო ხელოვნების ისტორია, World Art History

კურსი შეისწავლის მსოფლიო ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების ძირითად ეტაპებს პრეისტორიული ხანიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე. კურსის მსვლელობისას განხილული იქნება ვიზუალური ხელოვნებისა და არქიტექტურის ძირითადი ძეგლები და მოიცავს ფართო გეოგრაფიულ არეალს შორეული აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ აფრიკისა და ევროპის ჩათვლით. სტუდენტები შეისწავლიან როგორც ნაწარმოების სტილისტურ, კომპოზიციურ და ტექნიკურ თავისებურებებს, ასევე, ზოგადად, სხვადასხვა კულტურას შორის დიალოგისა და, ასევე, ცალკეული კულტურებისთვის დამახასიათებელ სტილურ ნიშნებს კომპარატიული შესწავლის საფუძველზე.

XIX-XX საუკუნეების ხელოვნება (აშშ. ევროპა) The Art of 19-20th cc.

კურსის მიზანია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპისა და ამერიკის სახვითი და ვიზუალური ხელოვნების ისტორიის ძირითადი და მოწინავე მიმართულებების სწავლება. სტუდენტები გაეცნობიან დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნების ავანგარდულ მიმდინარეობებს, XX საუკუნის მოდერნისტულ ხელოვნებაში ჩამოყალიბებულ ახალ დარგებსა და ტენდენციებს, ხელოვანთა გაერთიანებებსა და ცალკეულ გამოჩენილ ხელოვანთა შემოქმედებას.

აღმოსავლური ხელოვნება Oriental Art

კურსი შეისწავლის შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების – ინდოეთის, ჩინეთისა და იაპონიის – ხელოვნებისა და მხატვრულ-ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებს. ამ ქვეყნების ხელოვნების წარმოშობის წყაროებს, ჩამოყალიბების პროცესს. სასწავლო კურსი განიხილავს სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ძირითად და მნიშვნელოვან ძეგლებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საქართველოში დაცული ამ ქვეყნების ხელოვნების ნიმუშებზე.

XIX-XX საუკუნეების ხელოვნება (აშშ. ევროპა) The Art of 19-20th cc.

კურსის მიზანია XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპისა და ამერიკის სახვითი და ვიზუალური ხელოვნების ისტორიის ძირითადი და მოწინავე მიმართულებების სწავლება. სტუდენტები გაეცნობიან დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნების ავანგარდულ მიმდინარეობებს, XX საუკუნის მოდერნისტულ ხელოვნებაში ჩამოყალიბებულ ახალ დარგებსა და ტენდენციებს, ხელოვანთა გაერთიანებებსა და ცალკეულ გამოჩენილ ხელოვანთა შემოქმედებას.

მხატვრული ნაწარმოების ანალიზი Analysis of a work of art

სტუდენტები შეისწავლიან სახვითი ხელოვნების მხატვრული ნაწარმოების ანალიზს. იმისათვის, რომ მომავალმა ხელოვნებათმცოდნემ შეძლოს სახვითი ნაწარმოების პროფესიული შეფასება, სტუდენტი სწავლების საწყისი საფეხურიდანვე უნდა გაეცნოს სახვითი ხელოვნების „სამეტყველო ენას.“ ერთი სემესტრის განმავლობაში ბაკალავრიატის სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან იმ სახვით საშუალებებს (კომპოზიცია, ფორმა, ფერი, ხაზი, შუქ-ჩრდილი, რიტმი და სხვა), რომლებიც გამოიყენება მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. სახვითი ხერხებისა და საშუალებების გაცნობის შედეგად სტუდენტი შეძლებს ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების უკეთ გაგებას, აღქმას, ცალკეული ხელოვანის შემოქმედებისა და, ზოგადად, სხვადასხვა ეპოქის კულტურის სათანადო შეფასებას.

შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება. Visual Art of Medieval Georgia

წინამდებარე სალექციო კურსის მიზანია სტუდენტთათვის ზოგადი ცოდნის მიცემა ძველ ქართულ სახვით ხელოვნებაში; ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების უმთავრესი ეტაპების, მახასიათებლებისა და ზოგადი კანონზომიერების განხილვის საფუძველზე დამოუკიდებელი მხატვრული ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნება. Modern Georgian Visual Art

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტისთვის ახალი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის შესწავლა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის შუა წლებამდე; წარმოდგენის შექმნა ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესზე და მისი არსებობის მანძილზე მომხდარ ცვლილებებზე; თბილისის მხატვრული გარემოს მიმოხილვა და ცალკეული თვალსაჩინო მხატვრისა თუ მოქანდაკის შემოქმედების გაცნობა.

სასწავლო პრაქტიკა Training practice

კურსის მიანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ძეგლთა აღქმის, შეფასებისა და გადმოცემის უნარი, შეძლონ მხატვრული ნაწარმოების აღწერა-შეფასება, ელემენტარული სქემატური ანაზომებისა და ჩანახატების გაკეთება, საჭირო დეტალებზე ყურადღების გამახვილება, პარალელების გავლება, გაიაზრონ ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების ურთიერთმიმართება; ამისათვის საჭიროა გასვლით ლექციებზე სტუდენტები გაეცნონ როგორც ქართული, ისე სხვა ქვეყნების ძველ და თანამედროვე ხუროთმოძღვრებას, აგრეთვე სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

ისლამური ხელოვნება და საქართველო. Islamic Art and Georgia

კურსი შეისწავლის ისლამური ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების მხატვრულ-ისტორიულ პირობებს, წარმომავლობის წყაროებს, ჩამოყალიბების პროცესს. კურსი განიხილავს არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ძირითად მნიშვნელოვან ძეგლებს ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ქრისტიანულ ხელოვნებასთან ურთიერთმიმართებასა და საქართველოში დაცულ ისლამურ ძეგლებსა და სამუზეუმო კოლექციებზე.

ძველი ქართული კედლის მხატვრობა. Old Georgian Mural Painting

სალექციო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერა; შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლების განხილვის საფუძველზე დამოუკიდებელი მხატვრულ-იკონოგრაფიული ანალიზის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოს ფარგლებს გარეთ

Georgian Cultural Monuments Outside of Georgia

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები იღებენ ცოდნას საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებენ ქართულ იდენტობას. ამ მხარეების (ტაო-კლარჯეთი, ისტორიული ჰერეთი, სამაჩაბლო, აფხაზეთი) შესწავლა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სრულად გაიაზრონ საკუთარი ქვეყნის წარსული, ჩაებან სამეცნიერო პოლემიკაში, თვალი გაადევნონ ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციებს და შეძლონ საკუთარი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება. Decorative-applied Art

სტუდენტები გაეცნობიან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების არსს, მის შემადგენელ ხელოვნების დარგებს, მათი განვითარების ისტორიას ეპოქების, რეგიონებისა და მასალის მიხედვით. დეკორატიულობისა და ანსამბლურობის ცნებას, კომპოზიციის აგების ძირითად პრინციპებს. სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქართველოს მუზეუმებში დაცულ ამ ძეგლებს.

არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციის საფუძვლები The foundations of the restoration of architecture

სალექციო კურსში განხილული იქნება არქიტექტურული ძეგლების კონსერვაცია რესტავრაციის სრული პროცესი – დაწყებული ძეგლების მეცნიერული კვლევით, დამთავრებული რესტავრირებული თუ კონსერვირებული ძეგლის მოვლა-პატრონობით.

მუზეუმი და გალერეები- მართვის თანამედროვე მეთოდები Museums and Galleries-the modern management methods

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მუზეუმის წარმოშობის სოციალური და კულტურული ასპექტები. მუზეუმების, როგორც დინამიკური დაწესებულებების განხილვა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცვლილებების კონტექსტში. პირველი მუზეუმები ევროპაში, აშშ-ში, საქართველოში. მუზეუმების სტრუქტურები და ფუნქციონირება; მუზეუმების შესახებ თანამედროვე თეორიების შესწავლა , საქართველოს მუზეუმების თანამედროვე მეთოდოლოგიური ანალიზი.

კინოს ისტორია The History of Cinema

კურსის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბდეს სპეციფიკური ხედვა და ლოგიკური განსჯის უნარი XX საუკუნის კინოხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებსა და საკვანძო მომენტებზე. შეისწავლოს ქართული კინოს ისტორია მსოფლიო კინოს ისტორიასთან მიმართებით. ცალკეული ფილმების მაგალითზე იმსჯელოს ფილმის გამომსახველობით სისტემაზე, დაახასიათოს ცალკეულ რეჟისორთა შემოქმედება დროსთან, ეპოქასთან მიმართებით, შეიძინოს საფუძვლიანი ცოდნა იმ პიროვნებების შესახებ, რომლებმაც გამორჩეული წვლილი შეიტანეს მსოფლიო კინოხელოვნების შექმნასა და განვითარებაში.

კოსტუმების ისტორია The history of costume

კურსის მიზანია სტუდენტებისათვის ბაზისური ცოდნის მიცემა კოსტიუმის ისტორიაზე. სალექციო კურსი აგებულია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით და

მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. განხილულია ჩაცმულობის ფუნქციური და ესთეტიკური დანიშნულება, ქალისა და მამაკაცის კოსტიუმები, რა გავლენას ახდენს ჩაცმულობაზე სხვადასხვა ეპოქა. საგანგებო ყურადღება ეთმობა ხალხურ კოსტიუმებს, XX საუკუნის მოდის ინდუსტრიაში არსებულ სტილებს, ფორმებსა და ტენდენციებს. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, ფართო საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით მიიღონ სისტემატიზირებული ინფორმაცია და ცოდნა მსოფლიო კოსტიუმის ისტორიაზე.

იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი Impressionism and postimpressionism

კურსის ფარგლებში განხილული იქნება უახლესი დროის მხატვრობის პირველი ორი უმნიშვნელოვანესი ეტაპი: იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონისტული მხატვრობა. გარდა ამისა, საერთო კონტექსტში განიხილება უახლესი დროის ქანდაკების პირველი უმნიშვნელოვანესი ფიგურა – ოგიუსტ როდენი. ამ მიმდინარეობებში წარმოდგენილი მხატვრების შემოქმედების მაგალითზე გაშუქებულ იქნება ის სპეციფიკური ამოცანები, რომლებსაც აყენებს უახლესი დროის მხატვრობა. ის პრობლემატიკა, რომლის გადაჭრის გარეშეც ვერ მიიღწევა მხატვრული მთლიანობა. ნაჩვენები იქნება სხვადასხვა ტიპის მიდგომა, რომლებსაც ავლენენ განსხვავებული ხედვის, ნიჭის, ტემპერამენტის მქონე მხატვრები ამ ზოგადი პრობლემატიკის გადაწყვეტაში.

თანამედროვე არქიტექტურა: განვითარება გლობალიზაციისაკენ Modern Architecture: towards the Globalisation

საწავლო კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს ცოდნა XIX ს-ის II ნახევრის და XX ს-ის არქიტექტურის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, გააცნოს მას ახალი გამომსახველობითი საშუალებების, ახლებური ტექტონიკური ლოგიკის ევოლუცია შენობის სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე ახალი და თანამედროვე არქიტექტურის სტილისტური განვითარების თავისებურებების გაცნობა ევროპის, ჩრდ. ამერიკის ქვეყნებში – სხვადასხვა მიმართულებები XIX ს-ის II ნახევრის და XX ს-ის I ნახევრის ხუროთმოძღვრებაში და სტილისტური უნივერსალიზმის შემუშავება უკანაკნელი 50 წლის მანძილზე.

თანამედროვე დასავლური ხელოვნება და საქართველო Modern Western Art and Georgia

კურსის მიზანია მოდერნიზმის, ეპოქალური ნიშნების ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა და ჩვენება: მხატვრულ-მხოფლმხედველობითი საფუძველი და მისი მიმართება ეპოქის ზოგად-კულტურულ კონტექსტთან. განხილული იქნება სპეციფიკური პრობლემები, რომლებიც ამ ეპოქამ წარმოქმნა როგორც ზოგად

კულტურულ პლანში, ისე ხელოვნების და, კერძოდ, სახვითი ხელოვნების შიდა კანონზომიერების თვალსაზრისით. ამ მხრივ ხაზი გაესმება იმ ფაქტორებს, პრობლემებსა თუ ამოცანებს, რომლებიც განსაზღვრავენ უახლესი დროის ხელოვნების ევოლუციურ ხაზს, მის შიდა ლოგიკას. ასევე, ნაჩვენები იქნება სხვაობა წინა პერიოდთან და, შესაბამისად, ახალი მხატვრული სამყარო თავისი განსხვავებული მიმართულებებით, სკოლებითა თუ ინდივიდებით.

თეატრის ისტორია History Of Theatre

სასწავლო კურსის მიზანია თეატრალური ხელოვნების ევოლუციის სტილისტური თავისებურებების ანალიზი, მსოფლიო თეატრალური ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების, მიმართულებების შესწავლა, თეატრალური არქიტექტურის, სცენის დიზაინის დარგში მიმდინარე პროცესების შეფასება.

მხატვარი თეატრში – სცენოგრაფიის ისტორია The artist in the Theater

სასწავლო კურსის მიზანია სცენოგრაფიის ხელოვნების ევოლუციის სტილისტური თავისებურებების ანალიზი, თეატრალურ–დეკორატიული ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების, მიმართულებების და ძირითადი კონცეფციების შესწავლა, სცენის დიზაინის დარგში მიმდინარე პროცესების შეფასება.

შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება Visual Art of Medieval Georgia

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ძველი ქართული სახვითი ხელოვნების ზოგად ასპექტებს; სტუდენტს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების უმთავრესი ეტაპების, მახასიათებლებისა და ზოგადი კანონზომიერების განხილვის საფუძველზე უყალიბდება დამოუკიდებელი მხატვრული ანალიზის უნარ-ჩვევები.